



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

2020 წლის 29 ოქტომბრის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:30

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) აკაკი წიქორაძის, ალექსანდრე ჯინჭარაძის, ბელონა ჩირაძის, გიორგი მჭედლიძის, გიორგი სტეფანიშვილის, ეკატერინე კაპანაძის, თინათინ ბაიაშვილის, თამარ მგალობლიშვილის, ირაკლი ხაჯიშვილის, მაია ხურცილავას, მარიამ გაბრიელაშვილის, მარიამ ჩარგაზიას, მიხეილ ხოლუაშვილის, ნინო კიკილაშვილის, ნინო ჩოქურის, სალომე ნადირაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“

ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს აკაკი წიქორაძის, ალექსანდრე ჯინჭარაძის, ბელონა ჩირაძის, გიორგი მჭედლიძის, გიორგი სტეფანიშვილის, ეკატერინე კაპანაძის, თინათინ ბაიაშვილის, თამარ მაგლობლიშვილის, ირაკლი ხაჯიშვილის, მაია ხურცილავას, მარიამ გაბრიელაშვილის, მარიამ ჩარგაზიას, მიხეილ ხოლუაშვილის, ნინო კიკილაშვილის, ნინო ჩოქურის, სალომე ნადირაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნინო ჩიხრაძის განცხადებას გაწევრიანების შეახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ჩიხრაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ზეინაბ კვიციანიძის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და

შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზეინაზ კვიციანიძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მარინა ჯიბლაძის, ილია გერგედავას, ირაკლი ბეციაშვილის, თამარ მუმლაძის, ვახტანგ კაპანაძის, ნინო ჩოქურის და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრის ვლადიმერ აბულაძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო

დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ვლადიმერ აბულაძეს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს გააცნო ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი და მიაწოდა განმარტებები წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის თითოეულ მუხლთან დაკავშირებით. წევრებმა დეტალურად და მუხლობრივად განიხილეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ჩაითვალოს განხილულად და საბოლოო სახით წარმოდგენილ იქნას საბჭოს შემდგომ სხდომაზე დასამტკიცებლად.

საკითხი 5. ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანა.

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის - გიორგი ჭეხანის მიერ წარმოდგენილ ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში შესატან ცვლილებების პაკეტს, რომლის მიხედვით, საშტატო ერთეულის დასახელებები - „სასწავლო ცენტრის უფროსი კოორდინატორი“ და „ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი“ იცვლება შემდეგი დასახელებებით - „სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე“ და „ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე“.

მან განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანია ორივე სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე პროცესების სწორად მართვა და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება, რაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო ცენტრის დირექტორის და ეთიკის კომისიის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მოადგილეების მიერ შესაბამისი პასუხისმგებლობის გადანაწილებით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სამტატო განრიგში შესატანი ცვლილებების პაკეტი წარმოდგენილი სახით (დანართი 1);

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის წევრთა განგრძობადი იურიდიული განათლების 2020 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამჟამად მოქმედი განგრძობადი იურიდიული განათლების წესების თანახმად, ასოციაციის წევრებისთვის დადგენილი სავალდებულო, წლიური კრედიტ - საათების რაოდენობა არის 12; თუმცა, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების ფონზე, ასოციაციის წევრების გარკვეული ნაწილი საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რაც გულისხმობს იმას, რომ ტექნიკური საშუალებების და შესაბამისი პირობების არქონის გამო, მათთვის არ არის ხელმისაწვდომი ასოციაციის მიერ ორგანიზებული, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ტრენინგები, ხოლო არსებული პანდემიური სიტუაციის და მოქმედი შეზღუდვების გათვალისწინებით, ასოციაცია მოკლებულია შესაძლებლობას, მათ ალტერნატივის სახით შესთავაზოს სხვა ფორმატის საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ამდენად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული გარემოება, ქვეყანაში COVID-19 - ით გამოწვეული პანდემიური ვითარებისა და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვებიდან გამომდინარე, ასოციაციის წევრთა განგრძობადი იურიდიული განათლების 2020 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა განისაზღვროს 2 კრედიტით, რომელიც შეივსება პროფესიული ეთიკის სავალდებულო მოდულით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთათვის, განგრძობადი იურიდიული განათლების 2020 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა განისაზღვროს 2 კრედიტით, რომელიც მოიცავს პროფესიული ეთიკის სავალდებულო მოდულს.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - გიორგი ეპიტაშვილი, ქეთევან ქვარცხავა, გიორგი ბათლიძე, ნოდარ ძნელაძე, თამთა ივანიშვილი, ვასილ მამულაშვილი აპლიკაციებს თანდართული ბიოგრაფიით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად გიორგი ეპიტაშვილის, ქეთევან ქვარცხავას, გიორგი ბათლიძის, ნოდარ ძნელაძის, თამთა ივანიშვილის, ვასილ მამულაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. თამილა გაბაიძის განცხადების განხილვა შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ თამილა გაბაიძის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამილა გაბაიძის 2020 წლის 20 ოქტომბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას თამილა გაბაიძის კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს

საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 9. მარიამ ნანობაშვილის განცხადების განხილვა მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ მარიამ ნანობაშვილის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ნანობაშვილის 2020 წლის 26 ოქტომბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას მარიამ ნანობაშვილის კანდიდატურა ასოციაციის მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 10. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დღევანდელი მდგომარეობით 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა შეადგენს -1289 ადვოკატს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასოციაციამ წევრებს მისცა 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების შესაძლებლობა, რომლითაც ჯამში ისარგებლა 312 - მა ადვოკატმა. დანარჩენ 977 ადვოკატს არ მოუმართავს საწევროს გადახდის გადავადების მოთხოვნით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტით დადგენილი საწევროს გადახდის წესის თანახმად, 2020 წლის საწევროს გადახდის ვადა ამოიწურა 10 თვის წინ და ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია, საწევრო დავალიანების

მქონე წევრების მიმართ (რომელთაც არ მოუმართავთ საწევროს გადახდის გადავადების მოთხოვნით) ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, მოხდეს მათი ინფორმირება საწევრო დავალიანების გადახდის თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების განახლებულ სავარაუდო თარიღად მან წევრებს შესთავაზა 2020 წლის 20 ნოემბერი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ (რომელთაც არ მოუმართავთ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში საწევროს გადახდის 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გადავადების მოთხოვნით) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 20 ნოემბერი.

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ დავალიანების მქონე წევრებს ეცნობოთ ასოციაციის ვებგვერდისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით გზით.

საკითხი 11. დავით ზურაბაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის გადავადების შესახებ.

წევრები გაეცნენ დავით ზურაბაშვილის 2020 წლის 27 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დედის გარდაცვალების გამო მას ჰქონდა გაუთვალისწინებელი ხარჯი და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა საწევრო გადასახადის გადახდის გადავადებას გარკვეული ვადით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთა განცხადებებიც დაკმაყოფილდა 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივნისიდან 23 სექტემბრის ჩათვლით, დაგვიანებით მომართვის მიუხედავად, დამატებით, ჯამში სულ 312 წევრს დაუკმაყოფილდა განცხადება,

აღნიშნული გეგმის ფარგლებში დადგენილი ვადით (2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე) 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას დავით ზურაბაშვილის განცხადებაში მითითებული გარემოება და გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს დავით ზურაბაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე და აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში დადგენილი ვადით - მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვადა;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 12. ვილერი წოწორიას განცხადების განხილვა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ ვილერი წოწორიას 2020 წლის 29 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას ჰქონდა 2020 წლის საწევრო დავალიანება და ითხოვდა აღნიშნული საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ვილერი წოწორია აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით ხელახლა გაწევრიანდა ასოციაციაში და მას ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, მ/წლის 31 დეკემბრამდე ჰქონდა გადასახდელი 2021 წლის საწევრო. შესაბამისად, რადგან განმცხადებელს არ ერიცხებოდა 2020 წლის საწევრო დავალიანება, საბჭო ვერ იმსჯელებდა ვილერი წოწორიას განცხადებაში აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ვილერი წოწორიას განემარტოს ინფორმაცია მის მიმართ არსებულ საწევრო გადასახადთან დაკავშირებით.

საკითხი 13. ალექსანდრე ბოჭორიშვილის განცხადების განხილვა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ ალექსანდრე ბოჭორიშვილის 2020 წლის 29 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო ომის ვეტერანი და პენსიონერი, ჰყავდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მეუღლე. ქვეყანაში არსებული პანდემიური ვითარების გამო შეექმნა ეკონომიკური პრობლემები და აქედან გამომდინარე, ითხოვდა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, ასევე, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ალექსანდრე ბოჭორიშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს ალექსანდრე ბოჭორიშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 14. მოქალაქეების - გიორგი ბოლქვაძის, გარეგინ სეროპიანის, მამუკა ქურიძის და ეთერ ხაბაზის ერთობლივი განცხადების გაცნობა.

წევრები გაეცნენ ქ. ბათუმის სარაჯიშვილის ქუჩის N 20, N 24 და N 26 - ში მაცხოვრებელთა (გიორგი ბოლქვაძე, გარეგინ სეროპიანი, მამუკა ქურიძე, ეთერ ხაბაზი) ერთობლივ განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული მათი კერძო უძრავი საკუთრების საზღვრები არ შეესაბამებოდა საჯარო რეესტრის მონაცემებით დადგენილ საზღვრებს, რამაც გამოიწვია სამეზობლო საზღვრების ერთმანეთზე გადაფარვა. შესაბამისად, ხარვეზების აღმოფხვრის და სამეზობლო საზღვრებს შორის არსებული გადაცდომების გასწორების მიზნით, საჭირო გახდა თითოეული მესაკუთრის მიერ ახალი აზომვითი საკადასტრო ნახაზის გაკეთება და საჯარო რეესტრში მათი ხელახალი რეგისტრაცია, რაზეც ოთხივე განმცხადებელი იყო თანახმა.

განმცხადებლები მიმართავდნენ ასოციაციას თხოვნით, რომ რადგან სარაჯიშვილის ქ. N 22 - ში მდებარე ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის რეგიონული ოფისის გარკვეული ნაწილიც აღმოჩნდა სამეზობლო საზღვრების გადაფარვის ზონაში, გაკეთებულიყო ახალი საკადასტრო ნახაზი, საჯარო რეესტრში მისი ხელახალი რეგისტრაციის მიზნით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის დეტალურად გაცნობისთვის, მას მიზანშეწონილად მიაჩნია დროებითი კომისიის შექმნა ადგილობრივი ადვოკატების შემადგენლობით, რომლებიც შეისწავლიან საკითხს და მოამზადებენ მოხსენებით ბარათს.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებიან თავმჯდომარის წინადადებას. სხდომაზე დასახელდნენ კომისიის წევრობის შემდეგი კანდიდატები: ამირან ცეცხლაძე, ლელა ბჟალავა, გურამ ღოღობერიძე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ქ. ბათუმში, სარაჯიშვილის ქ. N 22 - ში მდებარე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის რეგიონული ოფისის ახალი საკადასტრო ნახაზების გაკეთების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი ხელახალი რეგისტრაციის მიზანშეწონილობის საკითხზე მუშაობის მიზნით, შეიქმნას დროებითი, სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს მოხსენებით ბარათს აღნიშნულ საკითხზე;

(ბ) დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცდეს შემდეგი ადვოკატების შემადგენლობით: ამირან ცეცხლაძე, ლელა ბჟალავა, გურამ ლოლობერიძე.

საკითხი 15. სხვადასხვა

(ა) ლაშა ავალიანის განცხადების განხილვა.

წევრები გაცნენ ლაშა ავალიანის 2020 წლის 29 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 75%-იანი საშელავათო საწევროს გავრცელებას. ასევე, განცხადებაში მოთხოვნილი იყო მის მიმართ არსებული 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის გადავადება „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე (I და II ჯგუფი) ვრცელდება 50% -იანი საშელავათო საწევრო, ხოლო 75%-იანი საშელავათო საწევროთი სარგებლობა შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (I და II ჯგუფი), რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში.

ლაშა ავალიანის მიერ არ არის წარმოდგენილი საადვოკატო საქმიანობის რეგიონში განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მასზე ვრცელდება 50%-იანი საშელავათო საწევროს გადახდის ვალდებულება.

ლაშა ავალიანის განცხადებაში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით 2020 წლის საწევრო გადასახადის მ/წლის 1-ელ დეკემბრამდე გადავადების შესახებ, წევრებმა განაცხადეს, რომ იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, აღნიშნულ განმცხადებელსაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს ლაშა ავალიანის განცხადება და მის მიერ წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მასზე გავრცელდეს 50%-იანი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება;
- დაკმაყოფილდეს ლაშა ავალიანის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე და აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში დადგენილი ვადით - მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვადა;
- შესაბამისი ცვლილების ასახვა წევრთა ერთიან რეესტრში დაევალოს ფინანსურ მენეჯერს;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე